




საშურის მოახლა



№42-45(366-369)

17 ნოემბერი, ხუთშაბათიშაბათი,

2022 წელი

საჯაროობა დღევანდელი ხელისუფლების ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია, ხაშურის საკრებულო და მუნიციპალიტეტის გამგეობა ნებისმიერ დოკუმენტს - იქნება ეს დადგენილება თუ რომელიმე ნორმატიული აქტი, საჯაროდ აცნობს რაიონის მოსახლეობას. ამ დღეებში, მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო სამსახურმა დაამთავრა მუშაობა 2023 წლის რაიონის მთავარ საფინანსო დოკუმენტზე და დღეს, ჩვენი მკითხველი და ფართო საზოგადოება თვითონ გაეცნობა მის პროექტს. დღეიდან ნებისმიერ მოქალაქეს ექნება შესაძლებლობა, გამოთქვას თავისი შენიშვნები თუ წინადადებები რაიონის ბიუჯეტის შესახებ. ნებისმიერი შენიშვნა და წინადადება კი მათ უნდა მიაწოდონ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 ნოემბრამდე.

განმარტებითი ბარათი ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2023 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას ბიუჯეტი არის წლის მთავარი ფისკალური დოკუმენტი.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობა, ყოველი წლის 1 ივნისამდე, საქართველოს პარლამენტის კომიტეტებთან ძირითადი მონაცემების და მიმართულებების შეთანხმების მიზნით, საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ინფორმაციას ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზების და ძირითადი მიმართულებების შესახებ.

პანდემიის შემდგომ, მსოფლიო ეკონომიკას ახასიათებდა ზრდის დინამიკა და კვლავ აღდგენის პერიოდში იყო, თუმცა, რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, ზრდის პერსპექტივები გაუარესდა როგორც უკრაინაში მიმდინარე ომის, ასევე რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გამო. კონფლიქტის შედეგად მიღებული ეკონომიკური ზიანი გამოიწვევს გლობალური ზრდის მნიშვნელოვან შენელებას 2022 წელს და გაზრდის ინფლაციას. საწვავის და სურსათის ფასები სწრაფად გაიზარდა, რაც ყველაზე მეტად მოწყველად მოსახლეობას აზარალებს.

ამდენად, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

2023 წლის ბიუჯეტი დაიგეგმა არსებული მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების პროგნოზების შესაბამისად.

ამდენად, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

ბიუჯეტის პარამეტრები

• საგადასახადო შემოსავლები

წარმოდგენილი პროექტით, ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მოცულობა განსაზღვრულია 25858,8 ათასი ლარის ოდენობით.

2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განსაზღვრულია 25858,8 ათასი ლარის ოდენობით, რაც, 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტის მაჩვენებელთან შედარებით (21353,1 ათასი ლარი), გაზრდილია 4505,7 ათასი ლარით (21,1%).

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6¹-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები. შემოსულობების დაგეგმვა განხორციელდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის 14 ივლისის 04-03/64697 წერილის საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 96-ე მუხლის მეორე ნაწილის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების კერძოდ დოკუმენტის შესაბამისად. 2023 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 10,3 პროცენტით. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 2022 წლისათვის მოსალოდნელია - 5,5% %, ხოლო მომდევნო 2024-2026 წლებში - 5,1%-ის ფარგლებში; მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზი ნომინალურ გამოხატულებაში 2023 წლისათვის შეადგენს 75624,0 მლნ ლარს; საშუალო წლიური ინფლაცია 2023-2026 წლებისათვის პროგნოზირებულია 3,0%-ის ოდენობით; მაკროეკონომიკური პროგნოზების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის 04 ოქტომბრის 04-03/92571 წერილის საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის გადამუშავებული ვარიანტის საფუძველზე განახლებული ფისკალური პროგნოზების და 2022 წლის შემოსულობების ფაქტობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით.

2023 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

➤ დამატებითი ღირებულების გადასახადიდან საპროგნოზო მაჩვენებლის (19%) 2023 წლის პროგნოზირებული (ხაშურის მუნიციპალიტეტისათვის გასანაწილებელი დღგ-ს 1,32%) ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2023 წელს მიიმართება და ნომინალურ გამოხატულებაში საორიენტაციოდ შეადგენს 19955,9 ათას ლარს (2022 წელი დაზუსტებული ბიუჯეტით 18035,0 ათასი ლარი მატება - 10,6%). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

➤ ქონების გადასახადიდან ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 3000,0 ათასი ლარით (2022 წელი 2950,0 მატება - 1,6%). აღნიშნულიდან გამომდინარე, 2023 წლის ბიუჯეტის გადასახადები სულ (ქონების გადასახადი და დამატებითი ღირებულების გადასახადი) დაგეგმილია 22955,9 ათასი ლარით, რაც გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით, გაზრდილია 1970,9 ათასი ლარით (10,9%). (გადასახადის ადმინისტრირება - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური).

2023 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

➤ გრანტების სახით დაგეგმილი ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის მიზნობრივი ტრანსფერი განსაზღვრულია 275,0 ათასი ლარით.

2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 25,0 ათასი ლარით (10%)

სხვა შემოსავლები განისაზღვრა -2327,9 ათასი ლარით,

➤ შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 260,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

✓ რენტა - 260,0 ათასი ლარი;

2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 10,0 ათასი ლარით.

➤ შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 320,4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

✓ სანებართვო მოსაკრებლები - 80,0 ათასი ლარი;

✓ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 0,4 ათასი ლარი;

✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 200,0 ათასი ლარი;

✓ შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 40,0 ათასი ლარი;

2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით არ შეცვლილა.

➤ შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია - 1747,5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 1707,5 ათასი ლარი;

✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 40,0 ათასი ლარი;

თანხა 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით

(გაგრძელება II გვერდზე)

(გაგრძელება)

გაზრდილია 330,0 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია გაზრდილი დამონტაჟებული ვიდეო სამეთვალყურეო კამერების რაოდენობით, რაც ქმნის მეტი კონტროლის და უსაფრთხოების მექანიზმს და, შესაბამისად, ზრდის საგზაო მოძრაობის წესების დარღვევიდან შემოსულობებს.

არაფინანსური აქტივების კლება (შემოსავალი პრივატიზაციიდან) - 300,0 ათასი ლარით, იგეგმება პრივატიზაცია სახელმწიფო და ადგილობრივი არაფინანსური აქტივების პრივატიზაცია.

- ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები)

შესაბამისად, 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელების სიდიდე (ხარჯები, არაფინანსური აქტივების ზრდა და ვალდებულებების კლება) განსაზღვრულია 25858,8 ათასი ლარის ოდენობით, რაც გასული წლის დამტკიცებულ ბიუჯეტის მაჩვენებელთან (21353,1 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 4505,7 ათასი ლარით (21,1 %).

2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

- შრომის ანაზღაურება - 3162,88 ათასი ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 2274,51 ათასი ლარი;
- პროცენტი - 372,78 ათასი ლარი;
- სუბსიდიები - 8499,27 ათასი ლარი;
- გრანტები - 174,78 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 860,94 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები - 1091,02 ათასი ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 8928,33 ათასი ლარი;
- ვალდებულებების კლება - 440,27 ათასი ლარი.

2022 წლის ბიუჯეტთან შედარებით, გაზრდილია რიგი პროგრამებისა და ღონისძიებების, ასევე ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მაჩვენებელი, კერძოდ 2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები ისეთი მიმართულებებით, როგორცაა დასუფთავების, გამწვანების საბავშვო ბაღების კულტურულ საგანმანათლებლო სპორტული და სხვა რიგი კატეგორიის ასევე მუნიციპალიტეტში დასაქმებული საჯარო მოხელეების თანამშრომელთა ხელფასების, ბავშვთა კვების პროდუქტების და სხვა კომუნალური და მოვლა შენახვის ხარჯების ზრდა, ამდენად მუნიციპალური პროგრამული დაფინანსება მუნიციპალიტეტის ფუნქციების განსახორციელებლად პრიორიტეტების მიხედვით შეადგენს.

- ხაშურის მუნიციპალიტეტის გზების მოვლა-შენახვის პროგრამის დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 305,48 ათასი ლარი;
- ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებულ ქუჩების განათების სისტემების მოვლა-შენახვის პროგრამის დასაფინანსებლად - 319,137 ათასი ლარი;
- დასუფთავების ღონისძიებების დასაფინანსებლად - 1163,50 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყლის სისტემის შედამხედველობისა და მისი გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია 128,97 ათასი ლარი;
- ხაშურის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფისა და სარიტუალო მომსახურების ხელშეწყობისათვის პროგრამის დასაფინანსებლად გათვალისწინებულია - 63,44 ათასი ლარი;
- უმეთვალყურედ დარჩენილი ცხოველების იზოლაციისათვის - 174,79 ათასი ლარი;
- გამწვანების და მწვანე ნარგაობების მოვლა-შენახვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნების და დასასვენებელი პარკების კეთილმოწყობისა და მოვლა-პატრონობის პროგრამის დასაფინანსებლად - 306,73 ათასი ლარი.

გაზრდილია ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების პროგრამის დაფინანსება. პროგრამა ვრცელდება 18 საბავშვო ბაღზე, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 1741 აღსაზრდელი (გათვლილია 2000 ბავშვზე). პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის სოფლებში (ფლევი, ბიჯნისი, წაღვლი,) სკოლამდელი აღზრდის ალტერნატიული საადმინისტრაციო ჯგუფების ფუნქციონირება. საადმინისტრაციო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები „HASPIS“ პროგრამის შესაბამისად; სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების პროგრამის დასაფინანსებლად, 2023 წლის ბიუჯეტში, გათვალისწინებულია 3573,6 ათასი ლარი, რაც განპირობებულია შრომის ანაზღაურების კვების პროდუქტების და შესაბამისი სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით ხარჯების ზრდით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო) სფეროში განსახორციელებელი პროგრამის დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 359,71 ათასი ლარი, პროგრამას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახორციელებს სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების - სამუსიკო სკოლების გაერთიანება, სადაც გაერთიანებულია ხაშურის, სურამის და ქვიშხეთის სამუსიკო სკოლები და სასწავლო პროცესს გადის 478 მოსწავლე. მოსწავლეები გათავისუფლდა გასული 2021 წლიდან ყოველთვიური სავალდებულო გადასახდელისაგან რომელთა სწავლის დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტით. პროგრამით გათვალისწინებულია, აგრეთვე, სამივე სამუსიკო სკოლის ელექტროენერჯის, გათბობის ხარჯის და სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსება.

მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, ახალგაზრდა თაობაში ცხოვრების უსაფრთხოების დამკვიდრებისა და მათი ფიზიკური აღზრდის მიზნით, 720,94 ათასი ლარით დაფინანსდება ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა, სადაც სპორტის თორმეტ ძირითად სახეობაში (ფეხბურთი, კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-ძიუდო, ჭიდაობა-სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ბატუტზე ხტომა, ძალოსნობა, რაგბი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) ვარჯიშობს 1360 ბავშვი, ხარჯების ზრდა განპირობებულია ქალაქ ხაშურში საფეხბურთო სტადიონის ექსპლოატაციასთან დაკავშირებით და მწვრთნელების შრომის ანაზღაურების და შესაბამისი სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით ხარჯების ზრდით.

2023 წლის ბიუჯეტით სპორტული ღონისძიებების პროგრამის დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 315,9 ათასი ლარი, კულტურული ღონისძიებების პროგრამის დასაფინანსებლად - 177,82 ათასი ლარი.

2023 წლის ბიუჯეტით ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამის დასაფინანსებლად - 40,42 ათასი ლარი.

2023 წლის ბიუჯეტით, დაფინანსდება, აგრეთვე, მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა 260,75 ათასი ლარით, ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა - 209,41 ათასი ლარით, კულტურის ცენტრების ხელშეწყობის პროგრამა - 392,04 ათასი ლარით, საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა - 52,40 ათასი ლარით, ხოლო რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის პროგრამა დაფინანსდება 130,0 ათასი ლარით.

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერიდან (275,0 ათასი ლარი), 2023 წლის ბიუჯეტით, დაგეგმილია სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ხარჯების დაფინანსება 159,17 ათასი ლარით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა დაფინანსება - 108,02 ათასი ლარით და სარიტუალო მომსახურება - 3,0 ათასი ლარით.

დაგეგმილია, აგრეთვე, სოციალური პროგრამების დაფინანსება, რისთვისაც 2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 1095,35 ათასი ლარი, კერძოდ:

უმწეოთა უფასო კვების მუნიციპალური პროგრამა დაფინანსდება 170,0 ათასი ლარით;

ასი და მეტი წლის უზუცესთა ერთჯერადი დახმარებები - 2,0 ათასი ლარით;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სოციალური მომსახურების პროგრამა - 41,41 ათასი ლარით;

ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა, ომის ვეტერანთა ერთჯერადი დახმარებები, დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის ხარჯები - 21,63 ათასი ლარით;

საომარი მოქმედებების შედეგად დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგებისა და მათი სოციალური დაცვის ღონისძიებები - 31,50 ათასი ლარით;

სარიტუალო მომსახურების პროგრამა - 3,0 ათასი ლარით;

კონფლიქტის ზონის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის პროგრამა - 24,0 ათასი ლარით;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სხვადასხვა სახის სოციალური დახმარებების მიზნით გათვალისწინებულია 801,81 ათასი ლარი;

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

კაპიტალური ხარჯები

კაპიტალური ხარჯების მოცულობის შესაბამისად ზრდის ტენდენცია შენარჩუნებული 2023 წლის საბიუჯეტო ასიგნებებში.

ინფრასტრუქტურის განვითარება თანხით 10352,90 ათასი ლარი;

✓ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 3781,55 ათასი ლარი;

2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების და ქუჩების მოასფალტება კერძოდ 1. დიდი და პატარა სატიკეში გზის მოასფალტება მთლიანი პროექტი გარდამავალია 2022 წლიდან ღირებულება 2023 წელს 775,0 ათასი ლარი. (3400 გრძ/მეტრი) ისარგებლებს 700 ბენეფიციარი. 2. სოფელ ბიჯნისში მისასვლელი გზის მოასფალტება, პროექტის ღირებულება - 600,0 ათასი ლარი (2400 გრძ/მეტრი) ისარგებლებს 150 ბენეფიციარი. 3. სოფელ ურთხვაში მისასვლელი გზის დაგება მთლიანი პროექტის ღირებულება 600,0 ათასი ლარი (700 გრძ/მ) ისარგებლებს 250 ბენეფიციარი. 4. დაბა სურამში კიკნაძის ქუჩის მოასფალტება პროექტის ღირებულება 133,90 ათასი ლარი (200გრძ/მეტრი) ისარგებლებს 100 ბენეფიციარი. 5. დაბა სურამში ლესელიძის ქუჩის მოასფალტება, პროექტის ღირებულება 0 132,08 ათასი ლარი (190 გრძ/მეტრი) ისარგებლებს 200 ბენეფიციარი. 6. დაბა სურამში ბარათაშვილის ქუჩის მოასფალტება, პროექტის ღირებულება - 130,0 ათასი ლარი (190 გრძ/მეტრი) ისარგებლებს 100 ბენეფიციარი. 7. სოფ. გომში სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 118,2 ათასი ლარი (180 გრძ/მეტრი) ისარგებლებს 500 ბენეფიციარი. 8. სოფ. ალში სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 645,82 ათასი ლარი (850 გრძ/მეტრი) ისარგებლებს 400 ბენეფიციარი. 9. სოფელ ყიფიანთუბანში გზის მოწყობა - 150,0 ათასი ლარი. (300 გრძ/მეტრი) ისარგებლებს 40 ბენეფიციარი. გზებზე ორმოულების სამუშაოების წარმოება 250,0 ათასი ლარი (6000 გრძ/მ) 4000 ბენეფიციარი. 10. ქ. ხაშურში მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაცია - 246,6 ათასი ლარი ისარგებლებს 3000 ბენეფიციარი. ამასთან, დასრულდება 2022 წლის, 2023 წელს გარდამავალი პროექტები, რომელთა დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებით (საქართველოს 2022 წლის 17 იანვრის №75 განკარგულება) და ადგილობრივი ბიუჯეტით, ასევე იგეგმება მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფა ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით.

✓ წყლის სისტემების რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია გათვალისწინებულია დაბა სურამში იტრიის დასახლებაში და ჩუმათელეთის დასახლებაში ჭაბურღილის ქსელის და სათავე ნაგებობის მოწყობა 1400,0 ათასი ლარი 1800 გრ/მ (2500 ბენეფიციარი)

✓ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტადიონების, სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია

გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების მოწყობა, კერძოდ მოეწყობა ე.წ მინისტადიონები და ტრენაჟორები 1. დაბა სურამში, ბაიანთხევის დასახლებაში, სტადიონის მოწყობა - 170,0 ათასი ლარი 200 ბენეფიციარი. 2. სოფ. ტეხურში სტადიონის და საბავშვო ატრაქციონების მოწყობა - 200,0 ათასი ლარი 2 ცალი. 3. ქ. ხაშურში ჭალისუბანში, ე.წ. სანერგეს ტერიტორიაზე სტადიონის და საბავშვო ატრაქციონების მოწყობა 2 ცალი - 200,0 ათასი ლარი. 4. ხაშურში გორგასლის ქუჩაზე სტადიონის რეაბილიტაცია - 1 ცალი - 300,0 ათასი ლარი.

✓ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკებისა და სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის

(გაგრძელება III გვერდზე)

(დასასრული)

დაიგეგმა დასასვენებელი და გასართობი სივრცეების რეაბილიტაცია/მშენებლობა, კერძოდ 1. სამუსიკო სკოლასთან არსებული მოედნის/სკვერის რეაბილიტაცია, 200 ათასი ლარი 400 მ/კვ ისარგებლებს 3000 ბენეფიციარს, 2, დაბა სურამში ამაღლების ქუჩაზე, სკვერის მოწყობა 109,0 ათასი ლარი.

✓ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარება
ქალაქ ხაშურში, 1, მინისტრის დასახლებაში ბინა №10 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია -140,0 ათასი ლარი - 180 ბენეფიციარი 2, ქ. ხაშურში, მინისტრის დასახლებაში, ბინა 6 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია 70,0 ათასი ლარი - 180 ბენეფიციარი 3, ქ. ხაშურში, თევდორე მღვდლის ქუჩა 43-ის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბილიტაცია 150,0 ათასი ლარი - 120 ბენეფიციარი 4, ქ. ხაშურში, სვანიძის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის და ფასადის რეაბილიტაცია 250,0 ათასი ლარი - 150 ბენეფიციარი.

✓ საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და ექსპერტიზის ხარჯები

გათვალისწინებულია სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების და ექსპერტიზის ხარჯები - 400,0 ათასი ლარი.

✓ ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია
დაბა სურამში ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა 400,0 150 გრძ/მ ისარგებლებს 25 ოჯახს

✓ მოქალაქეთა თანამონაწილეობითი ბიუჯეტირება

2022 წლიდან აღსანიშნავია პროგრამა, როგორც საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით მონაწილეობითი ბიუჯეტირების კუთხით; მუნიციპალიტეტი ახორციელებს მოქალაქეთა უშუალო ჩართულობით მოწილეობითი ბიუჯეტირებას მისი არსი კი ისაა, რომ მოსახლეობა თავად განსაზღვრავს საკუთარ საჭიროებებს და თავადვე წყვეტს, თუ რა პროექტები უნდა განხორციელდეს, მონაწილეობითი ბიუჯეტირება, მონაწილეობითი ბიუჯეტირება არის ნებაყოფლობითი, უნივერსალური და უშუალო (პირდაპირი) დემოკრატიის პროცესი, რომლის საშუალებითაც ხალხი აწარმოებს დიალოგს და იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტისა და სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. ამდენად, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უკვე კანონით განსაზღვრული ფორმებით (სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, დასახლების საერთო კრება, პეტიცია და აშ) გარდა სხვა, დამატებითი მექანიზმებით, განხორციელოს მონაწილეობითი ბიუჯეტირება პროგრამისათვის გათვალისწინებული თანხა შეადგენს 300,0 ათას ლარს.

✓ კულტურის განვითარების ხელშეწყობა
საქალაქო კულტურის სახლის რეაბილიტაცია -700,0 ლარი, 500 ბენეფიციარი,

ასევე ზემო სერის ტყე პარკის რეაბილიტაცია (მე-2 ეტაპი) – 800,0 ლარი 1800 მ/კვ ისარგებლებს 5000 ბენეფიციარს.

➢ მმართველობის და საერთო დანიშნულების ხარჯები - 4919,71 ათასი ლარი, მათ შორის:

✓ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაფინანსება - 1038,62 ათასი ლარი;

✓ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსება - 2877,25 ათასი ლარი;

✓ ხაშურის მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური-159,17 ათასი ლარი;

✓ სარეზერვო ფონდი - 30,0 ათასი ლარი;

✓ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ბიურო - 1,6 ათასი ლარი;

✓ 2022 წელს სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის დასაფარო თანხა და ვალის მომსახურება შეადგენს 813,06 ათასი ლარი, მათ შორის ძირი 440,27 ათასი ლარი და პროცენტი - 372,78 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

➢ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 4760,5 ათასი ლარი;

- თავდაცვა - 159,2 თასი ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა - 7175,5 ათასი ლარი;
- გარემოს დაცვა - 1645,0 ათასი ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 3177,5 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა - ათასი ლარი 112,8 ათასი ლარი;
- განათლება - 3573,6 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა - 1095,4 ათასი ლარი;

▪ ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტში გენდერული ასპექტების გათვალისწინების თაობაზე

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში „გენდერული ბიუჯეტირება“ საქართველოში აქტუალური საკითხი გახდა. გენდერული ბიუჯეტირება კომპლექსური საკითხია და საჯარო ფინანსების ხარჯვისას გენდერულად სენსიტიური და რელევანტული პროგრამების შემუშავებას გულისხმობს, საბიუჯეტო პოლიტიკამ შეიძლება ხელი შეუწყოს არსებული გენდერული უთანასწორობის გაზრდას, შემცირებას ან შენარჩუნებას. ამიტომ მუნიციპალურ დონეზე გენდერულ ბიუჯეტზე მუშაობის დაწყების პირველი ნაბიჯები ბიუჯეტის ფორმირების დროს გათვალისწინებული იყო გენდერული საჭიროებებისათვის და ბიუჯეტი მიმართული იყოს ამ უთანასწორობის შემცირებისკენ, რაც კვლავ გაგრძელდება და გაფართოვდება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №385 ბრძანებით, „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ განსაზღვრულია, რომ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ერთ-ერთი ინდიკატორი შეიძლება იყოს გენდერული, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მეთოდოლოგიის მიხედვით, გენდერული ინდიკატორები შემუშავებული უნდა იყოს პროგრამისა და ქვეპროგრამის საბოლოო და

შუალედური შედეგებისთვის.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის მიხედვით, განსაზღვრულია გენდერული ბიუჯეტის შემუშავება და პროგრამებისა და პროექტების დაგეგმარებისა და განხორციელების დროს ქალებისა და კაცების, გოგონებისა და ბიჭების საჭიროების გათვალისწინებით.

ამდენად, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, 2023 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის ფინანსური დოკუმენტების შემუშავების დროს, 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტსა და 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის (პროგრამული დანართი) გათვალისწინებული იქნა გენდერული ასპექტები.

ხაშურის მერის 2022 წლის 1 მარტის ბრძანების შესაბამისად შექმნილი პრიორიტეტების დოკუმენტის სამუშაო ჯგუფის ჩართულობით შეირჩა პროგრამები და ქვეპროგრამები, რომელიც გენდერული ანალიზიც ჩატარდა მუნიციპალიტეტის მერიის დარგობრივი სამსახურებისა და პროგრამების განმახორციელებელი ა(ა)იპ-ების მიერ, GIZ ტექნიკური მხარდაჭერით. გენდერული ანალიზის შედეგების საფუძველზე, 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში აღნიშნული პროგრამების/ქვეპროგრამების მოდიფიცირება მოხდა. კერძოდ, შესაბამისი გენდერული პოლიტიკა და მიდგომები ასახულია პროგრამის აღწერისა და შედეგების ნაწილში, ამასთან, პროგრამებს/ქვეპროგრამებს აქვთ გენდერული ინდიკატორები.

სამომავლოდ, კვლავ გაგრძელდება მუშაობა გენდერულ ბიუჯეტზე და პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფორმირების დროს გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები.

▪ მდგრადი განვითარების მიზნების ხაშურის მუნიციპალური დოკუმენტი

შემუშავებულ იქნა მდგრადი განვითარების მიზნების ხაშურის მუნიციპალური დოკუმენტი - რომელიც წარმოადგენს გაეროს გლობალური მდგრადი განვითარების მიზნების პრიორიტეტებს. (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში გაერო) გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის 25 სექტემბერს მიიღო /დ შ/70/1 რეზოლუცია“ „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“, ხაშურის მერის 2022 წლის 1 მარტის ბრძანების შესაბამისად შექმნილი პრიორიტეტების დოკუმენტის სამუშაო ჯგუფის ჩართულობით შეირჩა პროგრამები და ქვეპროგრამები, რომელიც გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ანალიზიც ჩატარდა მუნიციპალიტეტის დონეზე მუნიციპალიტეტის მერიის დარგობრივი სამსახურებისა და პროგრამების განმახორციელებელი ა(ა)იპ-ების მიერ, GIZ ტექნიკური მხარდაჭერით. გენდერული ანალიზის შედეგების საფუძველზე, 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში აღნიშნული პროგრამების/ქვეპროგრამების მოდიფიცირება მოხდა. ხაშურის მუნიციპალიტეტის დონეზე, მისი მიზანია მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მუნიციპალური საქმიანობის დაგეგმვა 2030 დღის წესრიგის შესაბამისად. ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად, ხაშურის მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევებისა და თვითმმართველი ერთეულის კონტექსტის გათვალისწინებით, გაეროს მდგრადი განვითარების 9 მიზანი, 23 ამოცანა და 30 საბაზისო და სამიზნე ინდიკატორი განისაზღვრა მუნიციპალურ პრიორიტეტად, რაც დაკავშირებულია მუნიციპალიტეტის პროგრამებთან და ქვეპროგრამებთან.

❖ ხაშურის მუნიციპალიტეტის ქვეპროგრამაში აისახა ასევე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ინიცირებული შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა. მისი მიზანია მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფისათვის, რომელთაც სახელმწიფო არ აფინანსებს ამ მიმართულებით, ამავე კრიტერიუმით დასაქმების ხელშეწყობის ისეთი სერვისების შეთავაზება, რომელიც გრძელვადიან შედეგებზე იქნება ორიენტირებული.

„ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2023-2026 წლები);
2. ხაშურის მუნიციპალიტეტის ინფორმაცია 2022 წლის 10 თვის შესრულების შესახებ;
3. ხაშურის მუნიციპალიტეტის ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
4. ხაშურის მუნიციპალიტეტის კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
5. ხაშურის მუნიციპალიტეტის ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;
6. ხაშურის მუნიციპალიტეტის ინფორმაცია ბიუჯეტით გათვალისწინებული „სხვა ხარჯები“-ს მუხლით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

❖ წლიური ბიუჯეტის პროექტი არ ანიჭებს და არ ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდექსში.

ამრიგად, 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულმა შემოსულობებმა მოგვცა წარმოდგენილი ინფრასტრუქტურული პროექტების, პროგრამების და ღონისძიებების დაფინანსების პროექტის დაგეგმვის შესაძლებლობა.

ლელა მაჭარაშვილი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი

დანართი №1

პროექტი
ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი

თავი I

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი
განისაზღვროს ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | სულ | 2022 წლის გეგმა | | 2023 წლის პროექტი | | |
|--|-----------------|-----------------|---|----------------------|-------------------|---|----------------------|
| | | | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 27163.2 | 31708.14 | 7710.59 | 23997.55 | 25558.80 | - | 25 558.80 |
| გადასახადები | 17591.2 | 20985.00 | - | 20985.00 | 22955.90 | - | 22 955.90 |
| გრანტები | 7693.5 | 8725.24 | 7710.59 | 1,014.65 | 275.00 | - | 275.00 |
| სხვა შემოსავლები | 1878.5 | 1997.90 | - | 1997.90 | 2327.90 | - | 2 327.90 |
| ხარჯები | 11478,4 | 15204.43 | 398.33 | 14806.10 | 16 436.19 | - | 16 436.19 |
| შრომის ანაზღაურება | 1823,4 | 2,571.18 | - | 2,571.18 | 3162.88 | - | 3 162.88 |
| საქონელი და მომსახურება | 1617,1 | 2422.16 | 398.33 | 2023.83 | 2 274.51 | - | 2274.51 |
| პროცენტი | 65.9 | 751.87 | - | 751.87 | 372.78 | - | 372.78 |
| სუბსიდიები | 5989.65 | 7401.43 | - | 7401.43 | 8 499.27 | - | 8 499.27 |
| გრანტები | 474,3 | 260.78 | - | 260.78 | 174.79 | - | 174.79 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 886.8 | 979.80 | - | 979.80 | 860.94 | - | 860.94 |
| სხვა ხარჯები | 821,3 | 817.22 | - | 817.22 | 1091.03 | - | 1 091.03 |
| საოპერაციო სალდო | 15684,8 | 16503.70 | 7312.25 | 9191.45 | 9 122.61 | - | 9 122.61 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 13277,21 | 21699,5 | 7749.59 | 13949,91 | 8 682.34 | - | 8 682.34 |
| ზრდა | 13847,3 | 21999,5 | 7749.59 | 14249,91 | 8982.34 | - | 8982.34 |
| კლება | 570,07 | 300.00 | - | 300.00 | 300.00 | - | 300.00 |
| მთლიანი სალდო | 2407,6 | -5195.80 | -437.34 | -4758.47 | 440,27 | - | 440.27 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 2313,5 | -5451.19 | -437.34 | -5013.85 | 0 | 0 | 0.00 |
| ზრდა | 2313,5 | 0 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 0.00 |
| კლება | - | 5451,19 | 437.34 | 5013,85 | 0 | 0 | 0 |
| ვალდებულებების ცვლილება | -94,12 | -255.39 | - | -255.39 | -440,27 | - | -440,27 |
| ზრდა | 0 | - | - | - | - | - | - |
| კლება | 94,12 | 255.39 | - | 255.39 | 440,27 | - | 440,27 |
| ბალანსი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | სულ | 2022 წლის გეგმა | | 2023 წლის პროექტი | | |
|---|-----------------|------------------|---|----------------------|-------------------|---|----------------------|
| | | | მათ შორის | | სულ | სულ | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები | 27733,27 | 32008.14 | 7710.59 | 24297.55 | 25 858.80 | - | 25 858.80 |
| შემოსავლები | 27163,2 | 31708.14 | 7710.59 | 23997.55 | 25 558.80 | - | 25 558.80 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 570,07 | 300.00 | - | 300.00 | 300.00 | - | 300.00 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | - | 0.0 | - |
| ვალდებულებების ზრდა | 0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | - | 0.0 | - |
| გადასახდელები | 25325,67 | 37203,94 | 8147.93 | 29056,02 | 418.53 | - | 25 418.53 |
| ხარჯები | 11478,39 | 15204.43 | 398.33 | 14806.10 | 16 436.19 | - | 16 436.19 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 13847,28 | 21999,51 | 7749.59 | 14249,91 | 8982.34 | - | 8982.34 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | 0 | 0 | 0.0 | 0 | - | - | - |
| ვალდებულებების კლება | 94,12 | 255.39 | - | 255.39 | 440.27 | - | 440.27 |
| ნაშთის ცვლილება | -2407,6 | (5195.80) | (437.34) | (4758.47) | 450.27 | 0.0 | 450.27 |

მუხლი 3. ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 25858.80 ათასი ლარის ოდენობით

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | | | 2023 წლის პროექტი | | |
|--------------------|-----------------|-----------------|---|----------------------|-------------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 27163,2 | 31708.14 | 7710.59 | 23997.55 | 25 558.80 | - | 25 558.80 |
| გადასახადები | 17591,2 | 20985.00 | - | 20985.00 | 22 955.90 | - | 22 955.90 |
| გრანტები | 7693,49 | 8725.24 | 7710.59 | 1014.65 | 275.00 | - | 275.00 |
| სხვა შემოსავლები | 1878,51 | 1997.90 | - | 1997.90 | 1 327.90 | - | 1 327.90 |

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 22 955.9 ათასი ლარის ოდენობით

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | | | 2023 წლის პროექტი | | |
|---|-----------------|-----------------|---|----------------------|-------------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | სულ | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გადასახადები | 17591,2 | 20985.00 | 0 | 20985.00 | 22 955.90 | - | 22 955.90 |
| საშემოსავლო გადასახადი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ქონების გადასახადი | 2818,81 | 2 950.00 | 0 | 2 950.00 | 3 000.00 | 0.0 | 3 000.00 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 1332,13 | 1795.0 | 0 | 1795.0 | 1 845.00 | 0.0 | 1 845.00 |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 496,13 | 0 | 0 | 0 | - | - | - |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 67,06 | 82.0 | 0 | 82.0 | 82.00 | 0.0 | 82.00 |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 201,19 | 205.0 | 0 | 205.0 | 205.00 | 0.0 | 205.00 |
| სხვა გადასახადები ქონებაზე | 722,31 | 868.0 | 0 | 868.0 | 868.00 | 0.0 | 868.00 |
| სხვა გადასახადები ქონებაზე | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| დამატებითი ღირებულების გადასახადი | 14772,39 | 18035.00 | 0 | 18035.00 | 19 955.90 | - | 19 955.90 |

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 275.0 ათასი ლარის ოდენობით

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის ბიუჯეტი | 2023 წლის პროექტი |
|--|-----------------|-------------------|-------------------|
| გრანტები | 7693,49 | 8725.24 | 275.0 |
| საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 7693,49 | 8725.24 | 275.0 |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 329,88 | 697.06 | 275.0 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 0 | 0.0 | 0.0 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დედეგორებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 329,88 | 697.06 | 275.0 |
| სპეციალური ტრანსფერი | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 7363,61 | 8028.18 | 0.0 |
| საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები | 6232,06 | 5859.53 | 0.0 |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 904.0 | 904.0 | 0.0 |
| მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი | 0.0 | 500.0 | 0.0 |
| მგფ-ის თანადაფინანსება | 158,35 | 364.65 | 0.0 |
| სხვა ტრანსფერები | 69,2 | 400.0 | 0 |

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2327.9 ათასი ლარის ოდენობით

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | 2023 წლის პროექტი |
|--|-----------------|-----------------|-------------------|
| სხვა შემოსავლები | 1878,51 | 1 997.9 | 2327.9 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 227,97 | 250.0 | 260.00 |
| პროცენტები | 0.00 | 0.00 | - |
| დივიდენდები | 0.00 | 0.00 | 0.0 |
| რენტა | 227,97 | 250.0 | 260.00 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 223,57 | 240.0 | 240.00 |
| შემოსავალი მიწის იჯარაიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 4,41 | 10.0 | 20.0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული რენტა | 0 | 0 | 0.0 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 228,28 | 290.4 | 320.4 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 197,71 | 250.4 | 280.40 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 56,68 | 50.0 | 80.0 |
| საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | 0,01 | 0.0 | - |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 0.6 | 0.4 | 0.40 |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 0 | 0.0 | - |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 140,42 | 200.0 | 200.0 |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 30.56 | 40.0 | 40.0 |
| შემოსავალი მომსახურების გაწვიდან | 30,56 | 40.0 | 40.0 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 1367,53 | 1 207.5 | 1747.5 |
| ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე | 0.00 | 0.0 | 0.00 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 54,74 | 250.0 | 0.0 |

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 16436.19 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად გაზრდილია ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლები, რამდენადაც ასიგნებები გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტისათვის ადამიანური რესურსების პოტენციური ზრდისათვის.

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | | 2023 წლის პროექტი | |
|-------------------------|-----------------|-----------------|--|-------------------|--|
| | | სულ | მათ შორის ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | სულ | მათ შორის ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები |
| ხარჯები | 11478,39 | 15204,43 | 398.33 | 14806.10 | 16 436.19 |
| შრომის ანაზღაურება | 1823,42 | 2,571.18 | - | 2,571.18 | 3 162.88 |
| საქონელი და მომსახურება | 1617,09 | 2422.16 | 398.33 | 2023.83 | 2 274.51 |
| პროცენტი | 65,88 | 751.87 | - | 751.87 | 372.78 |
| სუბსიდიები | 5989,65 | 7401.43 | - | 7401.43 | 8 499.27 |
| გრანტები | 474,26 | 260.78 | - | 260.78 | 174.79 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 886,78 | 979.80 | - | 979.80 | 860.94 |
| სხვა ხარჯები | 621,32 | 817.22 | - | 817.22 | 1091.03 |

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 8682.34 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
 ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 8982.34 ათასი ლარის ოდენობით

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

| კოდი | დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | 2023 წლის პროექტი |
|-------|---|-----------------|-----------------|-------------------|
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 7,7 | 485.68 | 54.29 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 12732,94 | 19317,87 | 7 428.05 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1,3 | 173.70 | - |
| 04 00 | განათლება | 177,33 | 324.31 | - |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 928,01 | 1624.60 | 1 500.00 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა სოციალური უზრუნველყოფა | 0.0 | 73.34 | - |

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 300,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | 2023 წლის პროექტი |
|-------------------------------------|-----------------|-----------------|-------------------|
| არაფინანსური აქტივების კლება | 570,07 | 300.0 | 300.00 |
| ძირითადი აქტივები | 253,89 | 0.0 | - |
| არაწარმოებული აქტივები | 316,18 | 300.0 | 300.00 |
| მიწა | 316,18 | 300.0 | 300.00 |

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | 2023 წლის პროექტი |
|--|-----------------|-----------------|-------------------|
| საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 2505 | 4795.0 | 4760.5 |
| ადმინისტრაციული და ფარმაცევტიკული ორგანიზაციების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 2505 | 4795.0 | 4760.5 |
| ადმინისტრაციული და ფარმაცევტიკული ორგანიზაციების საქმიანობის უზრუნველყოფა | 2344 | 3770.0 | 3915.9 |
| ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 161 | 1025.0 | 844.7 |
| გალთაან დაკავშირებული ოპერაციები | 0 | 0.0 | 0.0 |
| თავდაცვა | 125 | 165.0 | 159.2 |
| ეკონომიკური საქმიანობა | 12692 | 19706.0 | 7175.5 |
| ტრანსპორტი | 9113 | 14105.0 | 4193.0 |
| სავაჭრო-საინჟინერო ტრანსპორტი და გზები | 9113 | 14105.0 | 4193.0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში | 3579 | 5601.0 | 2985.4 |
| გარემოს დაცვა | 1421 | 1935.0 | 1645.2 |
| ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 1421 | 1935.0 | 1645.2 |
| საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 1737 | 1784 | 3177.5 |
| ბინათმშენებლობა | 0 | 0 | 0 |
| წყალმომარაგება | 892 | 692 | 1656.9 |
| გარე განათება | 845 | 1092.0 | 1520.5 |
| სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 0 | 0.0 | 0.0 |
| ჯანმრთელობის დაცვა | 107.0 | 176.0 | 112.8 |
| საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაცვა | 107.0 | 176.0 | 112.8 |
| დასვენება, კულტურა და რელიგია | 3409 | 4565.0 | 4159.4 |
| მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 1198 | 1276.0 | 1036.8 |
| მომსახურება კულტურის სფეროში | 2086 | 3159.0 | 3122.6 |
| რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 125 | 130.0 | 0.0 |
| განათლება | 2331 | 3117 | 373.6 |
| სკოლამდელი აღზრდა | 2255 | 3047.0 | 3573.6 |
| ზოგადი განათლება | 76 | 70.0 | 0.0 |
| საშუალო ზოგადი განათლება | 0 | 0.0 | 0.0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 0 | 0.0 | 0.0 |
| სოციალური დაცვა | 1093 | 1216.0 | 1095.4 |
| ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 0 | 0 | 0 |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 0 | 0 | 0 |
| ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 1 | 1.0 | 2.0 |
| ოჯახებისა და ზვევების სოციალური დაცვა | 35 | 38.0 | 1013.2 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 0 | 0 | 0 |
| სოციალური გაუმჯობესების საკითხები, რომლებზეც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 1006 | 1067.0 | 0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 51 | 110 | 80.1 |

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო
1.4. მთლიანი სალდო, ანუ წარმოადგენს პროფიციტურს და განისაზღვრება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 440.27 ათასი ლარის ოდენობით.

Table with 5 columns: დასახელება, 2021 წლის ფაქტი, 2022 წლის გეგმა, 2023 წლის პროექტი. Rows include საოპერაციო სალდო and მთლიანი სალდო.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0.00 ათასი ლარის ოდენობით.

Table with 5 columns: დასახელება, 2021 წლის ფაქტი, 2022 წლის გეგმა, 2023 წლის პროექტი. Rows include ფინანსური აქტივების ცვლილება, ზრდა, კლება.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -440.27 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017-2018-2021-2022 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას.

Table with 5 columns: დასახელება, 2021 წლის ფაქტი, 2022 წლის გეგმა, 2023 წლის პროექტი. Rows include ვალდებულებების ცვლილება, ზრდა, კლება.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელი დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 30,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი
1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი - 275,0 ათასი ლარი მიიღაროს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 112.8 ათასი ლარი.

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 159.2 ათასი ლარი .

გ) სარიტუალო მომსახურება 3,0 ათასი ლარი;

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე, წლის განმავლობაში, შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადასაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა
მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2023 წლის პროგრამები და 2023-2026 წლების პრიორიტეტები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2023 წლის პროგრამები და 2023-2026 წლების პრიორიტეტები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00)

Main budget table with 5 columns: პროგრამის კლასიფიკაციის კოდი, დასახელება, 2021 წლის ფაქტი, 2022 წლის გეგმა, 2023 წლის პროექტი. Rows include მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები, საკანონმდებლო და აღმასრულებელი საკმისის უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის საკრებულო, მუნიციპალიტეტის მერია, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.

Summary table with 5 columns: პროგრამის კლასიფიკაციის კოდი, დასახელება, 2021 წლის ფაქტი, 2022 წლის გეგმა, 2023 წლის პროექტი. Rows include 01 02, 01 02 01, 01 02 02, 01 02 03.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 01 02 03

პროგრამის დასახელება: მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა

პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმარტებული: ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სამსახური

დაფინანსება: 813,05 ათასი ლარი

პროგრამის მიზანი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე ნაკისრი სასესო ვალდებულების ნაწილობრივ დაფარვა.

